წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 15 კ. ტელეფონი № 76. ხუთშაბათი აგვისტოს 24 1917 წ.

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . 10 მან.
ცალკე ნუმერი . 15 კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს . . . 40 კ.
უკანასკნელ გვერდზე 25 კ.
ქალაქ გარედან მიღებული [illegible] განცხადება ღირს ერთი [illegible]
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა [illegible] არა უმეტეს სამი [illegible] გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 6 მ.
2 საათის შემდეგ . 7 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ს. მიქელაძისა
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 110 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 110

შაბათს 26 ამა აგვისტოს, 10 საათზედ დილას სოფლის ამაღლების ქუთ. მაზრა) მაცხოვრის ეკლესიაზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

სერგო ვასილის ძის ლომინაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა: მეუღლე მისი ფრანტისკა, მშობლები ვასილი და ოლღა ლომინაძეები, დები ანასტასია ბერიძისა და მარო ლომინაძეები და სიძე კალისტრატე ბერიძე.

ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის კომიტეტი

მით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

იქვე შეიძლება მოითხოვოთ შემდეგი გამოცემანი:

1. **საქართ. ეროვნულ-დემოკრ. პარტიის პროგრამა.**
2. ვ. **წერეთელი.** შეიძლება თუ არა მოისპოს კერძო საკუთრება მიწაზე.
3. ვ. **წერეთელი.** 1783 წ. ტრაქტატი, ავტონომია და ფედერაცია.
4. ტ. **მარგველაშვილი.** ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბათომის კომიტეტი

ამით აცხადებს ბათომში მცხოვრებ წევრთა და თანამოაზრეთა საყურადღებოთ, რომ პარტიის ბიურო აგვისტოს 16-დან გადატანილია ახალ ბინაზე: გურიის შესახვევი №6 გოგიტიძის სახლი აქვე არის პარტიის სალექციო დარბაზი. აქვე შეიძლება პარტიის წევრათ ჩაწერა და ყოველ გვარი ცნობების მიღება პარტიის ცნობარებიდან დილის 10-3 საათამდე და საღამოს 6-8-მდე.

დაწესებულებათა და კერძო პირებსაც ვთხოვთ, წერილები ამავე მისამართით გამოგვიგზავნონ.

ბათომის კომიტეტი.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

აგვისტოს 21-დან, ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი რუსულ ოქროს სერიიდან

თვითმპყრობელობის ნანგრევების ქვეშ: პროვოკაცია, ღალატი, დახვრეტა.

დრამა 5 ნაწ. მონაწილეობით ვ. პავლოვისა და მ. რუტცის.

ყველაფერში ქალია დამნაშავე. სახუმარო.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

აგვისტოს 21-დან ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი

მისი თვალები

დრამა 5 ნაწ. მონაწ. რუდნიცკის, სოლოვიოვის და მორავსკის.

ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

ეს არის მივიღეთ **ბორჯომის წყალი** დიდი და პატარა ბოთლები, ფასები ზომიერია.

საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კოლეგიის ხელმძღვანელობით,

ქალაქ ქუთაისში გახსნილია საღამოს საყოველთაო მოსამზადებელი

კ უ რ ს ე ბ ი,

მოწაფეთათვის უფლებებით აღჭურვილი, სადაც მიიღება ახალგაზრდობა განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა სიმწიფის და სხვა მოწმობებზე მოსამზადებლად.

მისამართი: ქ. ქ. ქართული გიმნაზია 6 საათიდან —8 საათამდის საღამოს.

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

ტიტე მარგველაშვილის წიგნი

ჩვენი ეკონომიური აღორძინების საშუალებანი

ფასი ერთი მან. მთავარი საწყობი წიგნის მაღაზიაში: „მთავრიშვილი და ამხ.“

განცხადება.

ქუთაისის სათავად-აზნაურო ქართული გიმნაზია ამით აცხადებს, რომ ხელახალი **გამოცდები** იწყება სექტემბრის 11-იდან, მისაღები -(1 და 2 განყოფილებებში) 16-ს და სწავლა კი დაიწყება 20 ენკენისთვეს.

მწვავე საკითხი.

ნახევარი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც განახლების სიომ დაჰბერა. სულ სხვა იყო დასაწყისი და სულ სხვა არის დასასრული. სურათი არსებითად შეიცვალა. რევოლუციური აღტაცება გაქრა; დიდი იმედები გაცრუვდა, გარეშე მტერი გაძლიერდა და შინაურმა უთანხმოებამ თავი წამოყო. საერთო აღფრთოვანებით დაწყებული მუშაობა სახელმწიფოს განახლებისა შესწყდა. ჩვენი მოკავშირე სახელმწიფოების თანაგრძნობა, რამაც პირველ ხანებში გაგვახარა, ბოლოს სავსებით უნაყოფო აღმოჩნდა. თავისუფლების გამოცხადებამ სამხედრო დისციპლინა დასცა და მტრის ბანაკი გაამაგრა. ჩვენ დასაცავად აღმართული მახვილი მტერს გამოადგა. შინაურმა არევ-დარევამ საქმე გაგვიფუჭა და მტერს გზა გაუხსნა. რევოლუციის გაღრმავება და ახალი წესწყობილების დამყარება საძნელო შეიქნა. ახალ მთავრობას მოულოდნელმა პირობებმა თავზარი დასცა, ახალი მთავრობის წამდაუწუმ რყევამ ჩვენც გაგვაკვირვა და, დღეს თუ ხვალ, განსაცდელშიც ჩაგვაგდებს. რა იყო პეტროგრადიდან წარმოთქმული დეკლარაციები და რა არის მოსკოვის თათბირზე ნათქვამი სიტყვები? რით დაიწყეს და რით თავდება? დასჩერებიხარ ამ სხვადასხვაობას და განცვიფრებით თავს ეკითხები, ნუთუ ეს სინამდვილეა, ნუთუ ეს დასაჯერებელია.

დიახ! სურათი არსებითად შეიცვალა.

დღეს თავდაცვის საკითხია წამოყენებული. ჩვენ სახელმწიფოს ღობე შემოარღვიეს, ყოველი მხრით მტერი შემოდის და, დღეს თუ ხვალ, მთელ მიდამოს სათარეშო მოედნათ გადააქცევენ.

რა გვიშლის, ვინ ფიქრობს და ვინ ზრუნავს ამაზე?

მოსკოვის თათბირი უიმედოთ დასრულდა. კიდევ მტრის დამარცხებაზე მსჯელობენ, შინაურ ერებს ემუქრებიან, ველიკოროსთა ბატონობის შერჩენაზე ზრუნავენ. განა ეს არის პასუხი დღევანდელი მომენტისა? განა ეს გვიხსნის მტრის შემოსევით მოსალოდნელ განადგურებისაგან? არა და არა.

სამწუხაროთ, ძველი მთავრობაც შინაური მტრების ძებნაში ხარჯავდა ძალ-ღონეს და ახალიც ამ გზით აპირებს სიარულს.

საზოგადოება ჩაფიქრდეს და იმედებით თავს ნუ იტყუებს, თვითონ იზრუნოს საკუთარ თავდაცვაზე. საზოგადოებრივმა ძალებმა შეიმუშაონ გეგმა და მოაწყონ თავდაცვის საქმე—ეს არის არსებითი მოთხოვნილება, რომელსაც დღევანდელი მომენტი გვიკარნახებს.

თავდაცვის საკითხთან ძლიერ დაკავშირებულია აუტანელი სიძვირის საკითხი.

მეცნიერები ამბობდენ ადამიანი ისეთი არსებაა, რომ ყოველ გვარ პირობებს შეეგუება, შეეჩვევაო. მართლაც საკვირველია ჩვენი საქმე. პირველათ, როცა სხვადასხვა საჭირო საგანზე ფასმა 5—10 პროც. მოიმატა გავკვირდით, დიდი მითქმა მოთქმა შევქენით და განგაში ავტეხეთ. დღეს კი, როცა 100—200 პროც. მოემატა თითქმის ყველაფრის ფასს, ხმასაც არავინ იღებს სჩანს, რომ ხალხი შეეჩვია სიძვირეს და აღარაფერი აღარ უკვირს მართლაც დიდი მოთმინებით და სულგრძელებით ვიტანთ აუტანელ მდგომარეობას.

სანოვაგე გვაკლია, ქარხნებსა და ფაბრიკებში დამზადებული საქონელი თითქმის გამოლეულია; მუშა ხელი მოისპო, სოფელი შიმშილობას განიცდის, თითქმის ყოველი მხრით უცნაურ გარემოებაში ვართ ჩავარდებით და გამოსავალ გზას არავინ ეძებს. საზოგადოებას თითქოს სძინავს ან იმდენათ ბეცია, რომ საფრთხეს ვერ ხედავს.

ავიღოთ ახლო მაგალითი. ამ ცოტა ხანში გვინდა სწავლა დავიწყოთ და სასწავლებლები ავამოძრაოთ. რა მდგომარეობაში ჩავარდებიან მოსწავლეები და მათი მშობლები? სასმელ-საჭმელი მეტათ გაძვირებული, ბინა გასაჭირი და მოუწყობელი, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი გამოლეული და, თუ სადმეა, ფასით ხელ მიუწდომელი, სწავლის ფული კი უკვე ერთი ორათ შემატებული, სასწავლო ნივთებიც ძლივს საშოვარი და ძალზე გაძვირებული. ასეთ პირობებში რა გზას დაადგეს მოსწავლე ან მისი მშობელი. იძახიან ფული ბევრია ო ვსთქვათ, რომ ეს მართალია და ვაჭარსა და სამხედრო პირს ფული ბევრი აქვს, მაგრამ განა მშობლები მარტო ესენი არიან? დღეს ასეთ აუტანელ პირობებში ვართ და ორი თვის შემდეგ უარესია მოსალოდნელი. ნუ თუ ამაზე არ უნდა ზრუნავდეს ვინმე? ნუ თუ ამაზე არ უნდა მსჯელობდეს რომელიმე დაწესებულება? შესაძლებელია ცხოვრება ასეთ პირობებში გაგრძელდეს? ნუ თუ ვერა ვგრძნობთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს საზოგადოებრივი კატასტროფაა მოსალოდნელი. შეწუხებული და შევიწროვებული ხალხის გრძნობა უეცრათ იფეთქებს და ცხოვრების ჩარჩოებს დაამსხვრევს ნუ თუ ამას ვუცდით? ორში ერთი უნდა იყოს: ან უცოდინარობა გვაბრმავებს ან დაუდევრობა. რომ ვცდილობდეთ, ვმუშაობდეთ, შეერთებული ძალებით სახსარს ვეძებდეთ, დარწმუნებული ვარ საშველს გამოვაჩენთ.

რას აკეთებ ნ ამის შესახებ პოლიტიკური პარტიები და რას ბძანებს ამის შესახებ ქალაქის ახალი საბჭო ჩვენში და სხვაგან?

პირველი სიტყვა მათ ეკუთვნის და შემდეგი სხვას

ტრიფონ ჯაფარიძე.

ქალაქის თვითმართველობა და სოციალისტები.

სოციალისტურ მოძღვრებას ახლათ გაცნობილ რუსეთის თითქმის ყველა ქალაქების მართვა-გამგეობა სოციალისტებს ჩაუვარდათ ხელში. მათი ამომრჩეველი მასა უდიდეს იმედებს ამყარებს თვის არჩეულებზე: ქუჩების მოკირწვლა-მოფენა, ელექტრონის განათება ყველასათვის იაფათ, ღარბთათვის, კი სულ უფასოთაც, წყალსაყვანის გაყვანა-გაუმჯობესება, მუქთი წყლით უზრუნველყოფა მცხოვრებთა უღარიბესი ნაწილისა, ტრამვაი, და სხვ. ამგვარი უხვი დაპირებანი ადვილის ხელით გადისროლეს სოციალისტებმა ამომრჩეველთა მასის გადასაბირებლათ. ამ უკანასკნელ მიზანს მათ საუცხოოთ მიაღწიეს: არც ერთ ევროპიელ ქალაქს არ მოსწრებია ისეთი სოციალისტური შემადგენლობის გამგეობები როგორც რუსეთის ქალაქებს. შესძლებენ კი სოციალისტები არამთუ დანაპირების ასრულებას, ან თუნდაც მათი ამომრჩეველთა იმედების გამართლებას, მუნიციპალური პოლიტიკის თვით ელემენტარულ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას მაინც? რუსეთი, რუსეთის ხალხი, რუსეთის სოციალისტებიც გაცილებით ჩამორჩენილი არიან დასავლეთ ევროპას, როგორც კულტურულათ ისე პოლიტიკურათ და ინტელიგენტობით. როგორ წამაქეზებელ მაგალითებს გვაძლევს ჩვენ ამ მხრივ დასავლეთი ევროპა? რითი დაგვირგვინდა სოციალისტების ამგვარი ცდა თუნდაც საფრანგეთში?

ფრიად განათლებული, ყოვლის მხრივ დაწინაურებული ქალაქი დიჟონი მოექცა სოციალისტების ბრძანებლობის ქვეშ. ქალაქის თავათ აირჩიეს რკინის გზის ყოფილი მუშა, რომელსაც გვერდით უდგა ერთი მეწაღე, ერთი მეღვინე და ერთი მჭედელი, ქალაქი რუბეც სოციალისტთა სამეფო შეიქნა, სადაც ბრძანებლობდენ გაზეთების დამტარებელი და მიმტანი. ახლათ გაბატონებულებმა მითი დაიწყეს თავიანთი სასიქადულო მოღვაწეობა, რომ თავიანთ ნათესავებისათვის და მოკეთეთათვის იმ თავიდანვე იშოვეს 75,000 ფრანკიანი ადგილები. აგეთივე იყო სოციალისტების მიდრეკილება ბრესტშიც (Brest). ბევრი ახალი და საბედისწერო სიურპრიზები იყო მზად გასოციალისტებულ ქალაქებისათვის, მაგრამ სოციალისტ-ხმოსანთა ფანტასტიურ მოქმედებას მითი შეეკვეცა ფრთა, რომ საფრანგეთის კანონების ძალით ქალაქთა ყოველი დადგენილება უნდა დადასტურდეს ცენტრალ მთავრობისაგან და მხოლოთ შემდეგ შეიძლება მისი განხორციელება. ამ გარემოებამ ბევრი უბედურება აიცილა ხსენებულ ქალაქებს; მაგრამ მაინც მათი ფინანსიური მდგომარეობა რამოდენიმე ათეული წლით დაიწუნა.

აი, რას სწერს Temps-ი:

„სოციალისტურმა ექსპერიმენტებმა თითქმის სამუდამოდ მოსპეს ქ. რუბეს კეთილდღეობა. კოლექტივისტთა ადმინისტრატიულმა ექსპერიმენტებმა, მათმა ფინანსიურმა ოცნებებმა შექმნა ახალი ერა უწესრიგობისა, უთავ-ბოლო ფლანგვისა და დაღუპვისა. რუბემ გაიცნო რევოლუციონერთა უღელი. რუბემ მისგან თავიც გაინთავისუფლა. დაუსჯელათ არ ჩატარებულა დიდი ქალაქისათვის, რომ კოლექტივისტთა ტირანიისა და კაპრისებს დაემორჩილა. გამოცდილება ძვირათ ჯდება, მაგრამ გასახარია, რომ ეს გაცდა მოკლე იყო და ამისათვის ისეთი ნანგრევები არ დაეტოვებია, რომლს გამოსწორება შეუძლებელი იყოს. ამ ისტორიის მორალი ის გახლავთ, რომ უკანასკნელი სიტყვა მუდამ ეკუთვნის სიმართლეს (au don seus); მაგრამ მხოლოთ იმ პირობაში, თუ მისთვის იბრძვიან დაუღალავათ“.

საფრანგეთის გამოჩენილი ისტორიკი და ეკონომისტი, ფრანგთა ფსიხოლოგიის მცოდნე, საფრანგეთის დეკადანსის პირროუთვნელათ მაღიარებელი გიუსტავლებონ. „გუსტოვლებონ“ რომელიც სოცია-

ლიზმს უყურებს როგორც შედეგს ერის შემოქმედების შესუსტებისას ამ ამონაწერს შემდეგ მწარე სიტყვებს უმატებს ხოლმე: „საუბედუროთ საჭიროა პირველი ხარისხოვანი პირები მისთვის, რომ ეგეთი ბრძოლა მოიგო. თანდათან მცირდება რიცხვი საკმაოთ გაბედულ პირებისა, რომელნიც წინააღმდეგობას გაუწევენ გაბატონებულ მიმართულებას მის ნაცვლათ რომ მას ლოჩრულა დაექვემდებარონ“

თუ საფრანგეთი თავის საუკეთესო შვილსაც კი ეჩვენება უიმედობის ფერადებში დეკადანსის, გადაგვარების გამო, იგივე მეცნიერი სულ სხვა თვალით უყურებს ანგლოსაქსონებს: გერმანია-ინგლისს,

მართლაც თანამედროვე მუნიციპალური პოლიტიკა, რომლის დედა აზრია მცხოვრებთა ერთი და იმავე გვარის საზოგადო მოთხოვნილებათა ქალაქის თაოსნობით დაკმაყოფილება და რომელსაც სოციალისტებმა უმართებულოთ „მუნიციპალი სოციალიზმი“ უწოდეს, ეგეთი პრინციპი საქალაქო მართვა-გამგეობისა პირველათ ინგლისში შემუშავდა. ევროპის მუნიციპალიტეტთა ისტორიის ფურცლებზე წარუშლელი ქ. ბორმინჰემის ქალაქის თავის ჩემბერლენის პირველი ცდა 70-იან წლებში. მისი თაოსნობით ბირმინჰემში პირველათ გამოისყიდა ქალაქმა გაზით განათების ქარხანა და საკუთრათ აწარმოვა საქმე. პირველ წელსავე ქალაქმა მოიგო—34.122 გირვ. სტერლ. 1884 წ. ე. ი. თოთხმეტი წლის შემდეგ 70.337 გირვ. სტერლ. ჩვიდმეტი წლის განმავლობაში კი ქალაქს დარჩა განათებიდგან სულ 714.000 გირვ. სტერლ. (ე. ი. შვიდი მილიონი მანათი) წლიურად რომ ვიანგარიშოთ საშუალოთ 42 ათასი გირვ. სტერლ. ფინანსურად ქალაქმა დიდი სარგებელი ნახა. მცხოვრებლებს ამით გადასახადის რაოდენობა შეუმცირდათ და კიდევ, ამის გარდა, განათებისათვის ფასები შეუმცირდათ ისე, რომ გაუნახევრდათ კიდეც. ეგეთმა ბედნიერმა მაგალითმა გამოიწვია წაბაძვა ინგლისის სხვა ქალაქშიც. ეხლა ინგლისის ქალაქები მართვენ საკუთარის თაოსნობით ქალაქების ქუჩებისა და ბინების განათებას. წყლით უზრუნველყოფას, ტრამვაის, მუშათა ბინების აშენება-პატრონობას, უმუშევართ თავშესაფარს ინგლისი ამ მხრივ კლასიკური ქვეყანაა. არცერთ ინგლისის ქალაქში არც ერთი სოციალისტი არც ხმოსნათ არც მერათ (ქალაქის თავათ) არ ყოფილა თავის დღეში, მაგრამ ქალაქის მართვა-გამგეობა ნამდვილ დემოკრატიულ პრინციპს არ აცდენია და სწორეთ ყოველთვის მიმართულია მცხოვრებთა უმრავლესობის სასარგებლოთ. სოციალისტობას ინგლისში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სამაგიეროთ მეტი პატივის ცემა აქვს პრაქტიკულ მნიშვნელობის დემოკრატიულ პრინციპს. თუ საფრანგეთის ქალაქმა დაგვიმტკიცა სოციალისტების ბატონობის საბედისწერო მნიშვნელობა საქალაქო საქმეებისათვის, ინგლისმა დაგვანახა, რომ საქალაქო საქმეების წაძღოლისთვის, „მუნიციპალი სოციალიზმის“ განხორციელებისათვის, ქალაქის სამკაულთა დემოკრატიულ პრინციპზე აშენებისათვის საუცხოვოთ ასრულებს თავის მოვალეობას **არასოციალისტურათ მოაზროვნე, „ბურჟუაზიული“ დემოკრატია.** ამავე აზრს განამტკიცებს გერმანიის მოვალეობა. აქ ქალაქებმა არ იკმარეს ინგლისელ ქალაქების ჩვეულებრივი გეგმა: განათება, წყალსაყვანი, ტრამვაი, ბინები და სხ. გერმანიაში ქალაქებმა ყურადღება მიაქციეს მუშათა სატეხნიკო სკოლებს აშენებას და ამით დიდათ შეუწყო ხელი გერმანიის მრეწველობის განვითარებას და მუშათა კლასის გონივრულადაც წარმატებას. ამ მხრივ გერმანიამ განცვიფრებაში მოიყვანა თვით ინგლისელებიც კი, მათი 1884 წ. მოგზაურობის დროს („გრლატლი ინპრესსედ).“ მისდა მიუხედავათ ან და სწორეთ მისთვის, რომ გერმანიის არცერთ ქალაქს სოციალისტის მართველობა არ განუცდია, როგორც ფაქტები გვიმოწმებენ, გერმანიაშიც ისე, როგორც ინგლისშიც მუნიციპალი პოლიტიკა მკვიდრ დემოკრატიულ ნიადაგზე წარმოებს, მცხოვრებთა უმეტესობის და მუშათა კლასის სასარგებლოთ.

სოციალისტთა პოლიტიკა სამუნიციპალო საქმეებში ევროპაში საბოლოოთ დამარცხდა (საფრანგეთი) და სრულიად ზედმეტათ, მეტ ხორცათ შეიქნა (გერმანია-ინგლისი). გახდება იგივე სოციალისტური პოლიტიკა რუს კოლექტივისტთა ხელში მეტი ბედნიერი და უკეთესი შედეგებით აღსავსე? ვერაფერს ვიტყვით. მხოლოთ ძლიერ ცუდი სიმპტომები კი გვაქვს; ცარიცინის, სარატოვის, ნიჟნი-ნოვგოროდის და სხვ. ქალაქების მაგალითები არავითარ იმედს არ გვისახავს მათი საქმის საკეთილოთ დაბოლავებისათვის. ამას მოწმობს თვით სოციალისტური „Новая жизнь“.

რა ბედი მოელის სოციალისტებს საქართველოს ქალაქებში? თუ ჩვენში გამარჯვებულმა სოციალისტურმა მიმართულებამ მეტი შერიგებითი, შეთანხმებითი და თანამშრომლობითი გზა ირჩია არა სოციალისტურ ჯგუფების მიმართ და თავიდგან აიცდინა სრული პასუხის მგებლობა, შეიძლება, მასთან ერთად თავიდან აიცდინოს მათი ფრანგ ამხანაგების ბედიც. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი თვითვე გაუთხრიან ძირს თავიანთ ბატონობას.

სოციალისტთა პოლიტიკა მიმართულ გაბატონებისაკენ ვაჭარ მრეწველთა მწარმოებელთა და კერძო მესაკუთრეთაგან დასახელებულ ქალებში — ეს თავისთავის დამარცხების პოლიტიკაა.

მედგარი.

რუსეთის ვითარება.

მოსკოვის ბჭობამ რეალი ნაყოფი ვერ მოიტანა. სახელმწიფოს ვითარება ისევ უნუგეშოა: მრისხანება გარედან და შიგნით ძლიერდება. პრესა აღნიშნავს, რომ მოსკოვის თათბირზე სთქვეს ის, რასაც შეგნებული რუსეთი კარგა ხანია ამბობს, მაგრამ ამით რა? არც ერთი საიმედო ნაბიჯი არც ერთი რეზოლუცია. წერეთლის და ბუბლიკოვის მხურვალე ხელის ჩამორთმევისაგან არსებით შედეგს არ მოელიან.

მოსკოვში ერთი სიტყვა ვერ სთქვეს. რუსეთი კვლავ „დაშლა-დაქსაქსვის“ პროცესში დარჩა.

რუსეთის პოლიტიკური ძალები განაგრძობენ განცალკევებას და საკუთარ დროშით გამოდიან. რევოლუციის შეკავშირებული ძალა აღარ უმაგრებს ზურგს. „ბურჟუათ“ მონათლული, ინტერნაციონალისტი. „მეუმცირესე“, „მე უმრავლესე“, „თავდამცველი“ და „ლენინელები“ ყველანი განზე არიან გამდგარი. მათი შერიგება შეუძლებელი გახდა. სახელმწიფოს კრიზისი უაღრესად რთულდება. „შინაური შემოქმედება“ არსად ჩანს. რევოლუციამ განუსაზღვრელი მოთხოვნილებები წამოაყენა, ხოლო მათი დაკმაყოფილება კი არ მოხდა. მოქალაქობრივი **თავისუფლება** სიტყვისა, ბეჭდვისა, წერისა და გაფიცვებისა რევოლუციის ინტერესითვის შეკვეცილ იქმნა. მინისტრებს უფლება მიეცათ გამოსცენ დამოუკიდებელი განკარგულებანი, შეზღუდონ პრესა დააპატიმრონ ესა თუ ის წევრი საზოგადოებისა. კერენსკი და მილიუკოვი ერთმანეთს დაუახლოვდენ. მათი აწინდელი ზრახვა შეთანხმებულია. მაგრამ რას გააწყობენ, როდესაც ულაშქროთ არიან. კერენსკის აღარ აქვს წინანდელი მაღალი ავტორიტეტი, მისი გავლენა დღეს სავალდებულო ხასიათის არის. მილიუკოვსაც არ შეუძლია ყველა კადეტების დაძახება ერთ მოქმედებისთვის.

ასეთ დროს შემარცხენეთ შორის იზრდება საზავო აგიტაცია. სოც.-დემ. მეუმრავლესეთა პარტია ენკენისთვის პირველისთვის აჯანყებით იმუქრება. ფინანსების გაკოტრება უკვე მომხდარი ფაქტია სურსათის კრიზისიც ხალხშიც მღელვარებას იწვევს.

გაფიცვები საერთო ხასიათს ღებულობენ. გაიფიცა რკინისგზის [illegible] ბრიგადა, რისგამოც რკინის გზის მიმოსვლის შეჩერება მოელის. ამ დროს გარეშე მტერი ენერგიულად აწარმოებს შემოტევას. მთავარ სამხედრო ბანაკს ბრძანება გაუცია, აუტანელ მდგომარეობისა გამო რიგის რაიონი დატოვებულ იქმნას. ჭეშმარიტება იყო, როცა ამბობდენ, რუსეთს უდიდესი საფრთხე ფრონტიდან მოელისო. რუსეთის ფრონტი ბევრ ადგილას გაარღვია მოპირდაპირე სახელმწიფომ.

მოსკოვის თათბირზე ერთი მონაწილეთაგანი, ფროლოვი ამბობდა: საშინელება დაგვატყდება ზამთარში თავს, რუსეთის უწესრიგო ლაშქარი ბრძოლის ველებს მიატოვებს და თავის სამშობლოს მოუბრუნდება მახვილის ჩასაცემათ; ისეთი კატასტროფა დატრიალდება, როგორიც ჯერ ისტორიას არ ახსოვს. ფრონტი რევოლუციას მოსპობას უპირებს. დაყოფილ ძალთა შეკავშირება, ლაშქრის წესრიგის აღდგენა, წინმავალ მტრის შესაჩერებლად, მეტად სამძიმო საქმეა.

რუსეთი დიდი განსაცდელის წინაშე სდგას.

სერ.

იოსებ მაჭავარიანის სიტყვა

თქმული საქ. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სახელით მოსკოვის სახელმწიფო თათბირზე აგვისტოს 15.

(სტენოგრამით).

მოქალაქენო! ამ ტრიბუნიდან წარმოთქმულ ყოველ სიტყვაში ისმოდა სამშობლოსადმი სიყვარულით გამსჭვალული გულის ძგერა, გამოწვეული რუსეთის და რევოლუციის საშიშარ მდგომარეობით. განკითხვის ჟამი საშინელის სიჩქარით უახლოვდება რუსეთს და უქადის მას დაღუპვას.

ერთად-ერთი ხსნა რუსეთში მცხოვრებ ერთა შეთანხმებულ საერთო გმირულ აღფრთოვანებაშია, ვინაიდგან მხოლოდ ასეთს საერთო ენტუზიაზმს შეუძლია რევოლუციით მოპოებულ თავისუფლებათა განმტკიცება და ბრძოლის პირის ღირსეული დაცვა. მაგრამ აღგზნება ასეთის გმირული აღფრთოვანების შესაძლებელია მხოლოდ ერთის გზით: ეს გზა არის რუსეთში მცხოვრებ ერთა პოლიტიკურ თავისუფლების აღდგენა.

რუსეთის მოქალაქენო! ეს მთელი ომი განა ერთა განთავისუფლების, უფლებათა და სამართლიანობის დამყარების იდეით არ არის გამოწვეული? მერე რა სასტიკი განსხვავებაა ამ ევროპის და კაცობრიობის თვალის მოსატყუებლად წამოყენებულ უზენაეს იდეასა და რუსეთის სასოწარმკვეთ სინამდვილეს შორის!..

საქართველო შეუკავშირდა რუსეთს 1783 წლის ტრაქტატით,

საქართველო იყო რუსეთის მოკავშირე სახელმწიფო იმ დროს, როდესაც რუსეთს ამიერ-კავკასიაში ერთი კვალი მიწაც არ გააჩნდა. მხოლოდ მაშინ, როდესაც საქართველოს მთავრობის ბრძანებით გახსნილ იქმნა დარიალის თერმოპილენი, რუსის ჯარმა შესდგა ფეხი კავკასიაში.

ამ ხელშეკრულობით გამოწვეულ და მოკიდებულებათა გარდაც განა საქართველო თავ გამოდებით არ ემსახურა რუსეთს?

ნაპოლეონის დროის გამოჩენილ გმირ ბაგრატიონიდან დაწყებული დღევანდელ დღემდე, მხედველობაშიდაც რომ არ მივიღოთ ქართველნი, როგორც თავგანწირულნი მებრძოლნი ამ რევოლუციის, რომელნიც გმირულად იცავენ რუსეთის რევოლუციურ დემოკრატიის ყოველ პოზიციას, განა გმირობა ქართველ მეომრისა არ ამშვენებს მთელი რუსეთის ჯარის დროშებს? განა იქ ბრძოლის ველზე, ორასი ათაზე მეტი ქართველი სიმღერით და ღიმილით არ ლევს სულს რუსეთის და მის მოკავშირეთა საერთო საქმისათვის? (აპლოდისმენტი).

მერე რათა ღვრის ქართველი ამდენ სისხლს, თუ არ საერთაშორისო პირობათა წმიდათ დაცვისთვის? და სად არის ეს სიწმინდე, სად არის ცოტაოდენი მაინც პატივისცემა საქართველოს უფლებისადმი?

არამც თუ დაფხრიწეს 1783 წლის „ქაღალდის ნაფლეთი“, არამც თუ გააუქმეს და განიტაცეს საქართველოს ნაციონალური სიმდიდრე, არამედ ისეთ ელემენტარულ სვინდისის და უფლების საკითხებშიაც კი, როგორიც არის სარწმუნოება, როგორიც არის კანონიური წყობილება საქართველოს ეკკლესიისა, დღემდე რუსეთი უშვერის დაკინვით ფეხქვეშ სთელავს საქართველოს უფლებას და მის ეროვნულ თავმოყვარეობას!

თუ რუსეთის მდგომარეობით გამოწვეული შიში და თქვენ სამშობლოსადმი სიყვარული გულწრფელი არის, თუ თქვენი დაპირება, რომ ამ ომს თქვენ აწარმოებთ ჩაგრულ ერთა განთავისუფლებისათვის, არ არის ალვირ ახსნილი მოტყუება მთელი ქვეყნისა, მაშინ ნაციონალური პატიოსნება რუსეთის ერისა პირდაპირ გავალებსთ, რომ დაუყოვნებლივ აღდგენილ იქმნენ პოლიტიკური უფლებანი საქართველოსი.

სრული ჭეშმარიტება წარმოსთქვა აქ თავის სიტყვაში მოქალაქე თამჯდომარემ: არ არის თავისუფლება უსამშობლოდ, „არ არის სამშობლო უთავისუფლებოთო“. 117 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა წაართვა ქართველ ერს თავისუფლებაც და სამშობლოც. კმარა, დროა დაუბრუნოთ მას ერთიცა და მეორეც. (აპლოდისმენტი).

მას შემდეგ, რაც რუსის ერმა სხვა ერებთან ერთად ქართველი ერის დახმარებითაც დაამსხვრია კირთები მონობისა და თავის სისხლით მოიპოვა უფლებანი მოქალაქისა, დროა უარჰყოს და ზიზღით განიშოროს თავისგან ძველი მთავრობის ვერაგული საშვალებანი, არა რუსთა წინააღმდეგ მიმართულნი. დროა რუსის ერმა სთქვას ეხლა მაინც სიტყვა ძმობის და სიყვარულისა, საჯაროდ აღიაროს რუსეთის ყველა ერთა პოლიტიკური უფლებანი. (აპლოდისმენტი)

ეს გამოიწვევს საერთო ენტუზიაზმს, ეს აღანთებს საერთო გმირულ აღფრთოვანებას და მიიზიდავს რუსეთისხსნის საკურთხეველზე ახალს ესოდენ საჭირო მსხვერპლს.

ნუ გაშინებსთ, მოქალაქენო, ეს ახალი ფორმა ხალხთა ურთიერთობისა. მხოლოდ სწორუფლებიან თავისუფალ ერთა კავშირს შეუძლიან რუსეთი მიიყვანოს გამარჯვებამდე, ან საპატიო ზავამდე, მხოლოდ და მხოლოდ მას შეუძლია მოუპოვოს რუსეთს საპატიო ადგილი კულტურიან პირველ ხარისხოვან სახელმწიფოთა შორის. (აპლოდისმენტი). (საქართვ.)

წარსულიდან

1784 წელს გელათის მონასტრის უმთავრეს ტაძარში მიწას მიაბარეს ცხედარი მეფის სოლომონ I-ისა. ქვეყნის მოჭირნახულე და მოამაგე სოლომონი უეცრათ გადაიცვალა 23 აპრილს 1784 წ., მემკვიდრე არ დარჩენია და იმერეთის ტახტი მეფის ბიძაშვილმა დავით გიორგისძემ დაიჭირა.[1] ახალმა მეფემ მაშინვე გაგზავნა რუსეთს მიტროპოლიტი მაქსიმე, სახლთხუცესი ზურაბ წერეთელი და მდივანბეგი დავით კვინიხიძე, ამათის პირით ითხოვა იმერეთის ტახტზე დამტკიცება და მფარველობა.

იმერეთის ელჩები თავიანთ მოხსენებაში სხვათა შორის ამბობდენ: „ჩვენი გამომხსნელი ხელმწიფე, მეფე სოლომონი, უწყალოსა სიკვდილისა მიერ მიგველო... ქვეყნისა ოხერყოფასა და წარტყვევნასა გვიქადიან ოსმანნი, რომელთაც დიდათ უხარისთ კურთხეულის ჩვენის მეფის სოლომონის სიკვდილიო“. (იხ. გრამ. ტ. II. გვ. 180.) იმერეთში კი ამ დროს იყო ჯგუფი, რომელიც სულ სხვანაირათ აზროვნობდა და ქვეყნის საკეთილდღეოთ სულ სხვა გზას ადგა. ამ ჯგუფმა სრულიად გვერდი აუარა ჩრდილოეთს, საიდანაც საქართველოს, მიუხედავათ მრავალგვარის დაპირებისა, ჯაბაბების ხელი არასოდეს არ გამოსწვდენია და სამოქმედოთ მისი შეხედულებით უფრო სწორი და საიმედო გზა აირჩია. იმერეთის სამეფოს გამოურკვეველი მდგომარეობა და დაობლებული ტახტი ქვეყნის მოკეთეთა თვალში საუკეთესო პირობა იყო, ამავე ქვეყნის აღორძინებისათვის. აქ დაიბადა დიადი აზრი სრულიად საქართველოს გაერთიანებისა, აყვავებისა და მისი ძლიერების აღდგენისა. ამ საბედნიერო აზრის განსახორციელებლათ ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე II-ს წარუდგენ იმერეთის რწმუნებულნი; ევთიმე გენათელი, ქუთათელი მიტროპოლიტი დოდითეოზი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, სეხნია წულუკიძე, იოანე აგიაშვილი, ქაიხოსრო ჩიჯავაძე და ფიცის კაცნი: ლორთქიფანიძე, იოსელიანი, ავალიანი და სხვა. და სთხოვეს —შეიერთე იმერეთი, როგორც იყო ერთი მთავრობის დროსაო.

ერეკლემ იმერეთის დესპანთა საპასუხოთ კრება მოიწვია. დანიშნულ დღეს ქართლ-კახეთის დიდებულნი სასახლეში შეიკრიბენ. ფრიად დიდი და მრავალმნიშვნელოვანი საკითხი იყო გადასაწყვეტი საკითხი, რომლის გადაწყვეტას ხშირათ საუკუნოები სჭირდება. ერის შეგნება და კარზე მომდგარი ბედნიერება ყველას ჩასძახოდა კითხვის დადებითად გადაჭრას.

კრებაზე პირველი და ძლიერი სიტყვა ეროვნის სასარგებლოთ მზექაბუკ ორბელიანმა წარმოსთქვა. მას მხარი დაუჭირეს მსაჯულმა სოლომონ ლეონიძემ, კათალიკოზმა, სარდალმა დავით ყაფლანიშვილმა და სხვა მომხრეებმა.

ერეკლე სდუმდა.

მზექაბუკ ორბელიანი! ნუ ჰყონი, მეფეც. მეფე ერისთვის და არა ერი მეფისათვის. ერი იმერთა თხოულობს ერთობას, როგორ ეტყვით უარს? ვიცი შენი აზრი, როგორ წავართვა მეფობა ჩემს შვილიშვილსა? მაგრამ თუ ეს აზრი იმერეთისთვის სწორეთ რომ საუბედურო! რა [illegible] ქართლმა კახეთის შემოერთებით? ერის ბედნიერება იმერეთის შემოერთებას მოითხოვს.

სარდალი წერეთელი: ბატონო მეფევ, უკეთუ არ განმტკიცდეს მეფობა და დაიწყოს უწესობა, მაშინ დასტოვეთ იმერეთი; ახლა კი მიიღეთ იმერეთის გვირგვინი, განძლიერდით ჩვენით და განგვაძლიერეთ თქვენით!

იოანე მუხრან-ბატონი: იმერეთის დაკავშირება ძნელია, ჩვენის თავისთვის ვერ მოგვივლია და იმერეთს როგორღა მოუვლით?

სარდალი დავით ყაფლანიშვილი: მუხრან ბატონი თავის ხმლითა და იარაღით ვერავის მოუვლის, მოვა დრო და სხვა მუხრან-ბატონის ხმალი გასჭრის.

დედოფალს დარეჯანს იმერეთში თავის შვილიშვილის გამეფება სწადდა და ორბელიანი კინაღამ საყვედურით აახრჩო.

მზე ჭაბუკი: ბატონო დედოფალო, ვერ შევიქნები ორგული ქვეყნისა და სამშობლოისა; ჩემი აზრი მტკიცეა და თუ არ ასრულდა, საფლავში თან ჩავიტან! ქვეყნის შვილი ვარ და როგორ ვისურვო მისთვის ბოროტი?

მემკვიდრე გიორგი: იმერეთისა და ქართლის შეერთება მეფობის სიმტკიცე იქნება; თუ გნებავთ ქვეყნის გაძლიერება უნდა ჰქმნათ ერთობა. ისრაელთა სამეფო მაშინ დაეცა. როდესაც ორათ გაიყო.

მეფე ერეკლე: თქვენს თხოვნას ვერ მივიღებ; იმერეთის ტახტზე ავიყვან ჩემს შვილიშვილს და ამით იქნება ერთობაო.

ბჭობამ სამ დღეს გასტანა და იმერეთის დესპანებმა ბოლოს ეს პასუხი მიიღეს.

დარეჯან დედოფლის და მისი ჯგუფის ინტრიგამ გაიტანა და დიადი აზრი ქვეყნის გაერთიანებისა ჩაიშალა.

ჯგუფურმა ინტერესმა საქვეყნოზე გაიმარჯვა და ჩვენი სამშობლოს მორიგი მომავალიც საუკუღმართოდ მომართა.

ზიზღით და წყევა-კრულვით ვიგონებთ დარეჯან დედოფალს, იოანე მუხრან-ბატონს და მათი მხარის დამჭერთ.

იმერეთის მაშინდელი დესპანების გულის-ტკივილს ჩვენ ჩვენს ტკივილს ვუერთებთ და მათი კეთილშობილური გულის ძგერა ჩვენ შორისაც შესაფერ გამოძახილს პოულობს.

ერთი საქართველო—მთლიანი, ერთარსი და განუყოფელი, თავს უდიდეს ეროვნულ-სატკივარზე ერთის ბაგით მეტყველი, ერთის მისწრაფებით აგზნებული, ერთხორც და ერთსულოვნათ სასპარეზოთ გამოსული, საშვილთაშვილო კაცურ-კაცობის ველის მოსახდელათ განმზადებული, ეროვნული თავისუფლების დასამყარებლათ გაკაჟებული...

და ნუმც იქნება, რომ მომავალმა საქართველომ ჩვენც ისეთივე ზიზღით მოგვიხსენიოს, როგორსაც ჩვენ თვითონ ვუგზავნით ძველ მუხრანბატონებსა და მარიამ დედოფლებს!..

დ—ი.

რუსეთის ამბები.

პ. ღ. ს.

დეპეშები.

სამხრეთ-რუსეთში სრულიად არ იშოვება გასაყიდელი თამბაქო.

ნოვოჩერკასკი აგვისტოს 20. სამხრეთ რუსეთში სრულიად აღარ იშოვება გასაყიდად თამბაქო. თხოულობენ, რომ თამბაქოს ვაჭრობა გადაეცეს მთლად მთავრობას, როგორც შაქარი და სხვა სანოვაგე.

საქალაქო არჩევნები ცენტრალ საბჭოსთვის

პეტროგრადი. აგვისტოს 20. საქალაქო არჩევნებმა ქალაქის ცენტრალი საბჭოში ცოცხლად ვერ ჩაიარა. არჩევნებში მონაწილეობა მიუღია დაახლოვებით ამომრჩეველთა 40 პროცენტს.

მებამბეთა კრება

პეტროგრადი. აგვისტოს 20. გაიხსნა სრულიად რუსეთის მებამბეთა კრება. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ტიმირიაზევი. დაადგინეს დაუყონებლივ ცნობაში მოიყვანონ ბამბის რაოდენობა, რადგანაც სპეკულიაციის მიზეზით ბევრმა გადამალა ბამბა.

---

[1] დავით არჩილისძე- სოლომონ II, ერეკლეს შვილის შვილი იყო; არჩილს ცოლათ ერეკლეს ქალი ჰყავდა.

საქარხნო კომიტეტების წევრთა დათხოვნა

შრომის მინისტრმა გასცა განკარგულება, რომ საქარხნო კომიტეტების წევრთა დათხოვნა უნდა ხდებოდეს შეერთებულ სხდომაზე მექარხნეთა და მომრიგებელ კამერების წევრთა, ხოლო მიღება და დათხოვნა დანარჩენ მოსამსახურეთა და მუშების ეკუთვნის თვით მექარხნეებს. თუ მუშებმა მოითხოვეს რამდენიმე პირის დათხოვნა და მექარხნეები კი თანახმანი არ არიან, საქმე უნდა გადაწყვიტოს ქარხნის თათბირმა. ძალდატანებული დაისჯება სისხლის სასამართლოში მიცემით.

არეულობა მოსკოვში

მოსკოვი. აგვისტოს 21. პურის შემცირების ნიადაგზე მოსკოვში ბრბომ სასტიკი ამბოხება მოახდინა და სტუდენტში გასძარცვა. ამბოხება მილიციამ ჩააქრო. დაშავდნენ; კომისარის თანაშემწე, მილიციონერები და სხვა რამდენიმე კაცი.

პლეხანოვის და წერეთლის ხმოსანთა საკანდიდატო სიიდგან გამორიცხვა.

პეტროგრადში ცენტრალ საქალაქო საბჭოს ხმოსანთა საკანდიდატო სიის შედგენის დროს მენშევიკებს განხეთქილება მოუხდათ. ინტერნაციონალისტები გ. ვ. პლეხანოვისა და ი. გ. წერეთლის სიაში შეტანას წინ აღუდგნენ. განსაკუთრებით კი დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია წერეთლის კანდიდატურამ. გამარჯვება ინტერნაციონალისტებს ჰხვდათ: მათ შესძლეს ხსენებულ მოღვაწეთა სიიდან ამორიცხვა. მაშინ ცენტრალ კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ს. ჩხეიძემ თავის კანდიდატურის მოხსნაც მოითხოვა. მან განაცხადა, რომ არ ჰსურს ინტერნაციონალისტების სიაში მოქცევა, თუ თანამოაზრენი თან არ ეყოლება.

ჩხეიძის მოთხოვნილება აასრულეს სიაში წმინდა ინტერნაციონალისტები მოჰყვნენ. მათში ყველაზე ცნობილად მარტოვი და მარტინოვი უნდა ჩაითვალოს.

საიდუმლო მონარქისტული ორგანიზაცია.

იალტა. აგვისტოს 19. საიდუმლო მონარქისტულმა ორგანიზაციამ, რომელსაც ეწოდება „წინ მეფის და წმიდა რუსეთისათვის", დაჰგზავნა და მიაკრა აქა-იქ განცხადებანი, რომ საზოგადო კრებამ დაადგინა უმატოს აგიტაციას, დააარსოს საორგანიზაციო კურსები, მოაწყოს სტამბა და მიიზიდოს ადგილობრივი ხალხი. რაც შეეხება საბრძოლო რაზმის შედგენას, ეს საკითხი ჯერ არ არის გადაწყვეტილი.

დროებით მთავრობის დადგენილება

პეტროგრადი. აგვისტოს 21. დროებითმა მთავრობამ დაადგინა: 1) ფრონტის მახლობელ ადგილებიდან პირველ საჭიროებით ნივთების და სურსათის გამოტანის აკრძალვა შეუძლიან ფრონტის სასურსათო საქმეთა მთავარ უფროსს, რომელთაც სასურსათო მინისტრთან უნდა იქონიონ კავშირი; დანარჩენ შემთხვევებში სასურსათო საქმეთა მინისტრს ეძლევა აკრძალვის უფლება 2) გზაში სურსათის ანდა პირველ საჭიროებით ნივთების [illegible]ერება, ანდა სხვა დანიშნულების მიცემა სასურსათო მინისტრის უფლებას უნდა შეადგენდეს. 3) მგზავრთა ბარგის დათვალიერება მხოლოდ სასურსათო საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემულ წესების მიხედვით უნდა ხდებოდეს. 4) ყოველივე მოქმედება თუ განკარგულება 1—3 პუნქტების წინააღმდეგ სასამართლოს ძალით დაისჯება.

კერძო თათბირი სახელმწიფო სათათბიროში

პეტროგრადი აგვ. 21. 20. აგვისტოს მოხდა კერძო თათბირი სათათბიროს წევრთა. როძიანკომ სთქვა, რომ სათათბიროს არ ითხოვენ და დროებითი კომიტეტის ფუნქცია რჩება წინანდელი სახით; კომიტეტი უნდა მოსკოვს გადავიდეს, მაგრამ მე კი აქ დავრჩებიო, მთავრობის ცენტრში. დროებითი კომიტეტი ითვლებოდა მთავრობის წყაროდ და მუდამ დარაჯად იდგა, რომ მთავრობის კრიზისის, დროს, კომიტეტს არ ასცდენოდა მსჯელობა მთავრობის შემადგენლობაზე. კრიზისის ორივე შემთხვევაში მთავრობა მიმართავდა დროებით კომიტეტს შემადგენლობის დამტკიცებისათვის. ლაპარიკეს პურიშკევიჩმა, ვოლკონსკიმ და სტემპკოვსკიმ. როძიანკომ სთქვა აგრეთვე: თუ 28 გიორგობისთვემდე მოწვეული არ იქნება დამფუძნებელი კრება, მაშინ დროებითი კომიტეტი იქონიებს მსჯელობის უფლებათა გაგრძელებაზე, დაადგინეს, გაეგზავნოს მინისტრთავმჯდომარეს სხდომის სტენოგრამა, ხოლო გაზეთებში გამოცხადდეს რეზოლუციები სახელმწიფო სათათბიროსი, რომლებიც შემზადებულ იყო მოსკოვის თათბირზე ბარიათებით, თუ რატომ არ გამოქვეყნდა რეზოლუცია.

სუხომლინოვის გასამართლება.

პ. დ. ს.

დეპეშები.

გუჩკოვის სიტყვა.

პეტროგრადი. აგვისტოს 21. 20 აგვისტოს სხდომაზე გაგრძელდა **გუჩკოვის** დაკითხვა.—მეტადრე იმაში ვამტყუნებ სუხომლინოვს,—სთქვა გუჩკოვმა, რომ ომის დასაწყისში არავითარი ზომები არ მიიღო ჯარისთვის საკმაო სამხედრო მასალის დასამზადებლად.

მანიკოვსკის ჩვენება.

სამხედრო მინისტრის თანაშემწე მანიკოვსკი აჩვენებს, რომ ომის დასაწყისში მე კრონშტადტის ციხის კომენდანტად ვიყავი. მთავარ-სარდლის ბრძანებით ამ ციხიდან გაიტანეს ყოველიფერი, რაც კი შეიძლებოდა და არ შეიძლებოდა. მაშინ შევიტყვე, რომ ჩვენს ჯარში ნამდვილი შიმშილია საომარ მასალაზე. უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ წინადვე ვერ გამოიცნეს მისი ხასიათი. ივანოვზე სთქვა, რომ ის მოვიდა ჩემთან კრონშტადტში და გულკეთილობას იჩენდა. მე ავუკრძალე ფორტებზე არ გამეშვა იგი.

ანდრონიკოვისა და სხვა მოწმეთა ჩვენებანი.

სხდომის ბოლოს დაჰკითხეს სხვა მოწმეებს, რომლებმაც უჩვენეს რომ სუხომლინოვს დაახლოვებული ნაცნობობა ჰქონოდა ალტშილერთან. მოწმეთა უმეტესობა აჩვენებდა, რომ სუხომლინოვისა ცხოვრობდა ხელგაშლით, ხარჯავდა დიდძალ ფულებს. სუხომლინოვისა კი უარს ჰყოფდა ამაზე, ხელგაშლით არ ვცხოვრობდიო. მოწმე თ. ანდრონიკოვი, რომელიც დააპატიმრეს რევოლუციის დროს, ამბობდა რომ მან გაიცნო სუხომლინოვი მაშინ, როცა იგი სამხედრო მინისტრად იყო. ნაცნობობა დაახლოვებული მქონდა და შიფრიანი ტელეგრამებით ველაპარაკებოდით ერთმანეთსაო, მაგრამ 1914 წლის დასაწყისში ჩვენი ნაცნობობა გაფუჭდა და მე აღარ დავდიოდი მათთანაო. როცა ომი დაიწყო, მე მივწერე ორივე დედოფლებს, სუხომლინოვი სრულ უმოქმედობას იჩენს და ქრთამებს იღებს შენაკვეთების მიცემაშიო.

ეროვნული კითხვა.

პ. დ. ს.

დეპეშები.

ფინეთის უფლებათა გაფართოვების მოთხოვნა.

ჰელსინგფორსი. აგვისტოს 16. გენერალ-გუბერნატორი ახალ პროექტის გამო, პეტროგრადს გამოემგზავრა. პროექტი შეეხება ფინლიანდიის უფლებათა გაფართოებას, გაფართოებას შინაგან მმართველობაში, გენერალ-გუბერნატორმა განაცხადა- დათხოვნილ სეიმის საკითხი დამთავრდა. პარტიები ახალ არჩევნებისთვის ემზადებიან. მწვავდება ეკონომიური მდგომარეობა, ძლიერდება უმუშევრობა, სასურსათო კრიზისი გვიქადის, მაგრამ, იმედია, განაცხადა სტახოვიჩმა, საერთო ღონისძიებით სახსნელ გზას გამოვნახავთო.

ებრაელთა სამხედრო კავშირის დადგენილება.

ოდესა. აგვისტოს 14. ებრაელთა სამხედრო კავშირის საერთო კრებამ დაადგინა მოიწყოს ყველა ფრონტზე ებრაელ ოფიცრების კავშირის სექცია. მათი მიზანი ებრაელ ოფიცერთა მდგომარეობის გამორკვევა იქნება.

პოლონეთის სახელმწიფო საბჭოს გადადგომა.

სტოკჰოლმი. აგვისტოს 18. ვოლფის საგენტო იტყობინება, რომ პოლონეთის სახელმწიფო საბჭომ გადასწყვიტა გადადგომა და ცალკე კომისიის არჩევა, რომელსაც უნდა გადასცეს ყველა საქმეები.

36 ჩეხელის გასამართლება

ბერნი. აგვისტოს 19. „არბეიტერ ცეიტუნგი" იტყობინება, რომ 36 ჩეხელი, მუშები იმ ქარხნისა, სადაც ამზადებენ საომარ იარაღს, მიცემულია სამართალში აჯანყებისათვისაო.

პოლონეთის სასამართლო

ბერნი. აგვისტოს 19. სამხედრო მთავრობამ გამოსცა ბრძანება ლიუბლინში, რომ სასამართლოები გადადის სახელმწიფო საბჭოს საიუსტიციო დეპარტამენტის ხელში და სასამართლოს განაჩენები დღეიდან გამოვა პოლონეთის გვირგვინის სახელითო.

პოლონეთისა და გალიციის გაბსბურგთა სამეფო გვირგვინის ქვეშ შეერთება

ბერნი. აგვისტოს 20. სარწმუნო წყაროებიდან გვატყობინებენ: ბერლინი და ვენა შეთანხმდნენ პოლონეთისა და გალიციის გაბსბურგთა სამეფო გვირგვინის ქვეშ შეერთებაზე.

უცხოეთი.

პ. დ. ს.

დეპეშები.

ჩეხელი კლოფაჩის განთავისუფლება.

ბერნი. აგვისტოს 19. როცა ახლად განთავისუფლებული კლოფაჩი ჩამოვიდა პრაგას, თუმცა პოლიცია ბევრსა ცდილობდა. რომ არავინ დაჰხვედროდა, კლოფაჩს მიეგება ზღვა ხალხი, გაარღვია პოლიციის რკალი, აიტაცა კლოფაჩი ხელში და ისე მიიყვანა ეროვნულ სახლამდე, სადაც ხელად გაიმართა მიტინგი მისივე თავმჯდომარეობით.

საფრ. მთავრობის პასუხი პაპის ნოტაზე.

პარიზი. აგვისტოს 20. დეპუტატმა სოციალისტმა ბრიუნემ შეკითხვა შეიტანა, როგორი იქნება მთავრობის პასუხი პაპის ნოტაზეო. ბრიუნემ განაცხადა, სასურველი იქნება, რომ მთავრობამ ერთხმივ ხელი მოაწეროს ვილსონის პასუხზეო.

ინგლისის პრესის აზრი ვილსონის პასუხზე.

ლონდონი. აგვისტოს 20. ინგლისის პრესა იწონებს რა ვილსონის პასუხს პაპის ნოტაზე, შენიშნავს, რომ პასუხი პირდაპირ და გარკვევით აყენებს ომის მიზანს, რომელიც გასაგებია ყველასათვის. ახლა სიტყვა ეკუთვნის გერმანეთის დემოკრატიას. მაგრამ ცოტა იმედია, რომ გერმანეთის ხალხმა თავი გამოყოფილად ღიაროს პრუსიის მილიტარიზმისგანაო.

პოლონეთის კორპუსი.

სტოკჰოლმი. აგვისტოს 19. ვენის „კორესპონდენც-ბიურო" იტყობინება, რომ თანახმად გერმანეთისა და ავსტრო-უნგრეთის საერთო დადგენილებისა, მთელი პოლონეთის კორპუსი გაიგზავნება ფრონტზე, რადგანაც დაიწყო ყველგან შემოტევა მტრის და საჭიროა ჩვენც ყოველი ჩვენი ძალით დაუხვდეთ მათაო. პოლონეთის კორპუსი დაექვემდებარება ავსტრო-უნგრეთის სარდლობას.

მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

დეპეშები.

საფრანგეთის ასპარეზი

პარიზი. აგვისტოს 19. იურტებიზის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენ ფრონტის 200 მეტრის მანძილზე მტრის სანგრები ჩავიგდეთ. გერმანელების კონტრ-იერიშები მარჯვედ მოვიგერიეთ. შამპანში მენილის ტაფობის სამხრეთით მტრის მოულოდნელი თავდასხმა ავიცილეთ. მაასის მარცხენა მხარეზე გაცხარებული საარტილერიო ბრძოლაა როგორც „304" სიმაღლის ჩრდილოეთით, ისე მორტომთან.

პარიზი. აგვისტოს 20. წუხელ მდ. ენზე ორთავ მხრის არტილერია მოქმედებდა. იურტებიზის ჩრდილო დასავლეთით გერმანელებმა კვლავ მოიტანეს იერიში ჩვენ მიერ აგვისტოს 18-ში დაჭერილ ასპარეზებზე, მაგრამ ჩვენ მოვიგერიეთ. მაასის მარცხენა მხარეზე „304" სიმაღლის ჩრდილოეთით დრო-გამოშვებითი საარტილერიო ბრძოლაა.

ლონდონი. აგვისტოს 20. ოფიციალი. გუშინ დილით ვოისხოტეს აღმოსავლეთით ჩვენ მოულოდნელად თავს დავესხით გერმანელების სანგრებს და ხელით სასროლ ყუმბარებით საგრძნობი ზარალი მივაყენეთ. ავენკურის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ მტრის რაზმი მოვიგერიეთ.

ზღვაზე.

ლონდონი. აგვისტოს 20 საამირბარო იუწყება: შაბათს დილით იუტლანტიის ნაპირის მახლობლად ჩვენ სუბუქ გემებმა გერმანელების 4 სანაღმო ტრალერი ჩასძირეს.

სევასტოპოლი. აგვისტოს 19. (დაგვიანებულია). ჩვენმა გემებმა შემუსრეს აღმოსავლეთისკენ მიმავალი ხომალდების ქარავანი და ბანის საზღვისპირო რაიონს სროლა აუტეხეს.

კოპენჰაგენი. აგვისტოს 19. დღის, დილის 7 საათზე რინკებინგ ფიორდთან მოხდა ბრძოლა: ინგლისის ექსმა ნაღმოსანმა შეამწყვდია გერმანელთა ოთხი ტრალერი დანიელების წყლებში ვარდეს მახლობლად. 100 კაცი გადავიდა ნაპირზე. ორი ტრალერი იწვის. ბრძოლის დროს ყუმბარები ეცემოდა დანეთის ნაპირზე, ზიანი არ მიუყენებიათ.

ახლო-აღმოსავლეთი.

პარიზი. აგვისტოს 19. ოფიციალი. აგვისტოს 17 სერკადი ლევენთან მტრის ახალი იერიში მოვიგერიეთ. წუხელ ჩვენები კონტრ-იერიშებზე გადავიდნენ და ბულგარელებს დაჭერილი თხრილები დაატოვინეს. აგვისტოს 18 ფრონტის სერბეთის უბანში და დოირანის ტბის რაიონში გაცხარებული საარტილერიო ბრძოლა გაჩაღდა. მონინის რაიონში, ვარდარის მარჯვენა მხარეზე ბერძნებს მარჯვე თავდასხმა ჰხვდათ. აგვისტოს 17-ს სერკადილევენის დასავლეთით სერბიელებმა ხელთ იგდეს 71 ტყვე და ტყვიის მფრქვეველი.

ლონდონი. აგვისტოს 19. ოფიციალი. აგვისტოს 14, 15 და 16-ს დოირანის ტბისა და მდ. ვარდარის შუა მტრის თხრილებს უშენდით.

მოქმედება აღმოსავლეთ აფრიკაში.

ლონდონი. აგვისტოს 19. ირინგის მიმართულებით მდინარე ვანგთან ინგლისელ და ბელგიელთა რაზმებმა მტრის რაზმები გაფანტეს. სამხრეთ რაიონში ჩვენებმა ტუნდრა დაიჭირეს.

მფრინავთა მოქმედება

პარიზი. აგვისტოს 20. აგვისტოს 10-ს ყუმბარის მაღლა მტყორცნელ ზარბაზნებით გერმანელების 2 ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ. ერთი მათგანი 2000 მეტრის სიმაღლეზე ფრინავდა.

ლონდონი. აგვისტოს 20. გუშინ მფრინავებმა კვლავ დაიწყეს მოქმედება. ჩამოაგდეს გერმანელების ერთი ჰაეროპლანი და ერთიც დააზიანეს. ჩვენ ერთი ჰაეროპლანი გვაკლია.

ლონდონი. აგვისტოს 20. საამირბაროს ცნობით, ზღვის მფრინავებმა გუშინ საღამოს გისტელში ჰაეროდრომს აუტეხეს სროლა. მფრინავები უვნებლად დაბრუნდნენ.

ლონდონი. აგვისტოს. 21. ღამით მტერმა ორჯელ სცადა თავს დაგვსხმოდა ლანსის ჩრდილო-დასავლეთით და ლა-ბასეს სამხრეთ დასავლეთით, მაგრამ მოვიგერიეთ. გუშინ დარმა ხელი შეგვიშალა ჰაერში მოქმედებაზე. სამი დღის წინად კი ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები დააყარეს მტრის ჰაეროდრომებს. ჩვენებმა ჩამოაგდეს მტრის ერთი ჰაეროპლანი, ჩვენ გვაკლია ორი.

ლონდონი. აგვისტოს. 19. ჩვენმა ჰაეროპლანებმა დუტლს ყურმარების სროლა აუტეხეს, ყუმბარებს უშენდენ აგრეთვე დემირ-გისსარს, და სტრიაკოვოს (ვარდარის აღმოსავლეთით).

მთავარ-სარდლის კორნილოვის ბრძანება.

მომქმედი ჯარი. აგვისტოს 21. გამოცხადებულია შემდეგი ბრძანება კორნილოვისა: „ფრონტზე სასტიკი ომია, იღვრება სისხლი მამულის ერთგულ ძეთა. იმავ დროს კი მშიშარა და მოღალატე ნაწილი მათი სტოვებს ფრონტსა და გამორბის უკან. ასეთებისთვის სჩანს არაფრადა ღირს არც საკუთარი თავის პატივი და არც ის მოქალაქობრივი უფლებანი, რომლებიც ახლა შევიძინეთ. როგორც მთავარ-სარდალი მივმართავ თვით ხალხსა და ჯარისკაცებს, თვით იღონონ ყოველი საშუალება ასეთი დეზერტირების წინააღმდეგ, რადგანაც მათის ასეთი ქცევით სუსტდება და იჩაგრება ფრონტი, სადაც ჯარისკაცნი სასოებით მოელიან თქვენგან ზურგის გამაგრებას. სასოფლო, სავოლოსტო და სამაზრო კომიტეტები მოვალენი არიან დააკავონ გამოქცეულნი ჯარის კაცნი, მთავრობის წარმომადგენელთა უმოქმედობა ასეთს შემთხვევაში ყოვლად დასაგმობია და ამიტომ დაისჯებიან კანონის სრული სისასტიკით".

უკანასკნელი დეპეშები.

რიგის დატოვება.

პეტროგრადი. აგვისტოს 22. 21 აგვისტოს ჩვენმა ჯარმა რიგა დასტოვა, ამასთანვე ააფეთქა დვინის ნაპირებზე სიმაგრეები და ხიდები. ახლა ჩვენი ჯარი დვინის გასწვრივ სვლას განაგრძობს ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ. მტრის გემები ტყვიას უშენენ რიგის სანაპიროებზე სოფელ კაბლიკს, რომელიც პარისვის სამხრეთით 40 ვერსზე მდებარეობს, აგრეთვე სოფელ გამიასში, კემკულსა და კიდეს. გერმანელები წინსვლას განაგრძობენ.

21 აგვისტოს განმავლობაში გერმანელები ვოლდერ-დე-პსკოვის გზის ჩრდილოეთით და ურიუზის ჩრდილო აღმოსავლეთით განაგრძობდნენ შემოტევას. მტერი გარს უვლიდა ჩვენი ჯარის პოზიციებს დვინაზე. საღამოს მტერმა ვოლდეირდის რაიონში 13 ვერსტის სიგრძეზე გაარღვია ჩვენი ხაზი და ჩვენი ჯარი მდინარე ეგოლზე გადარეკა. ჩვენი ჯარი ჩრდილოეთისაკენ იხევს. მტრის შემოტევის სალიკვიდაციო ზომებია მიღებული მილდენ—რიჟაკო-კრაკეტის რაიონში ჩვენი ჯარი ვერ გაუმკლავდა მტრის შემოტევას და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ დაიხია

ჯარისკაცთა დაურაზმველი ბრბო შეუჩერებლივ მიიმართება მოსკოვის და ბიდერლემბურგის შარა გზისაკენ. დვინის მიმართულებით გაცხოველებული საარტილერიო სროლაა.

რუმინეთის ასპარეზი. სოფელ სლობოძეის სამხრეთ რაიონში მტრის იერიშები მოვიგერიეთ მისთვის დიდი დანაკლისით. დანარჩენ ასპარეზზე სროლაა

კავკასიის ასპარეზი. სროლაა.

მიხეილ ალექსანდრეს ძის დაპატიმრება-

სოციალისტ რევოლუციონერთა პარტიის ორგანო „დელო ნაროდა„ში სწერია: რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულ კონტრ რევოლუციურ ორგანიზაციებისა და შეთქმულობის აღმოჩენის გამო დაიპატიმრეს დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრესძე და მისი მეუღლე.

ესერთა პარტიის ცენტრალმა კომიტეტმა რიგის ასპარეზზე მომხდარ ამბების გამო მოწოდებით მიმართა რევოლუციურ დემოკრატიას. მთავარი კომიტეტი მოუწოდებს ჯარისკაცთ გააცხოველონ ბრძოლა, მუშებს ორწილად გაადიდონ შრომა, გლეხებს—მიაწოდონ საჩქაროთ პური ჯარს. გახსოვდეთ ყველას, ნათქვამია მოწოდებაში, ახლა ყოველნაირი არეულობა და უწესრიგობა ხელს უწყობს მხოლოდ ჩვენს მტერსო.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

კორნილოვის დეპეში.

კორნილოვი განმეორებით სთხოვს კერენსკის, ზომები მიიღოს ჯარის თვითნებობის წინაღმდეგ. ჯარიო, იტყობინება კორნილოვი ყოველ დღე ახალ-ახალ მოთხოვნილებებს ადგენს, ხოლო უფროსების არც ერთ განკარგულებას არასრულებს.

კონტრევოლუცია.

„მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს უწყებები" სწერს: „კონტრევოლუცია უკვე დაიწყო. გიორგის კავალერები აქტიურ გამოსვლის თვის მზად არიან. ორგანიზაციები ყველგან შეკრულია. კონტრევოლუციონერების მოქმედება ანტი სახელმწიფურ ხასიათის არის და ამიტომ მას ერთნაირად უნდა გაუწიოს ანგარიში დემოკრატიამ და ბურჟუაზიულმა პარტიებმაო.

ზავის შესახებ.

ხმა გავრცელდა, პრეზიდენტი ვილსონი ახალ სამშვიდობო მოწოდებას გამოაქვეყნებსო. ხმა დაადასტურა პეტროგრადის დეპეშათა საგენტომ. ამის გამო პეტროგრადის ამერიკელი ელჩი ვაშინგტონში შეეკითხა, მართალი არის თუ არა ვილსონის ახალი გამოსვლა ზავის ჩამოსაგდებათო?

გაფიცვა და გზათა სამინისტრო

უკანასკნელ დროს რუსეთის რკინის გზებზე საერთო გაფიცვა დაიწყო. სხვათა შორის, გაიფიცენ რკინის ბრიგადის მუშები. გზათა სამინისტრომ განიხილა ეს გარემოება და დაადგინა, გაფიცულ მუშების წინააღმდეგ არავითარი გადამწყვეტი ზომები არ იქნას მიღებული.

ამერიკა და გერმანეთი.

პარიზში მოხდა მოკავშირე სახელმწიფოთა კონფერენცია. ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი მოითხოვდნენ, რომ ომის დასრულების შემდგომ ხსენებულ სახელმწიფოთ ეკონომიური ომი ეწარმოებინათ გერმანეთის წინააღმდეგ. ამერიკის წარმომადგენელმა ეს მოსაზრება დაჰგმო და ამერიკისთვის მიუღებელათ გამოაცხადა.

შტიურმერის გარდაცვალება.

პეტრეს ქალაქში გერზონის საავადმყოფოში გარდაიცვალა ყოფილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჰოფმეისტერი შტიურმერი.

შტიურმერს სახელმწიფოს ღალატი ბრალდებოდა და ჯერ კიდევ ძველი რეჟიმის დროს დაატუსაღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინეთის გარშემო.

ფინეთის გენერალ გუბერნატორი სტახოვიჩი პეტრეს ქალაქში ჩამოვიდა და დრ. მმართველობას მოახსენა, რომ ფინეთის მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. სეიმის დათხოვნის გამო უკმაყოფილება არ მოსპობილა, მაგრამ ბოლოდროს ფინელები უფრო ფრთხილად იქცევიან და აქტიურ გამოსვლებით აღარ აპირებენ ეროვნულ მოთხოვნილებათა განხორციელებას.

ელჩების დანიშვნა.

კონოვალოვს დრ. მმართველობამ სთხოვა პარიზში იკისროს რუსეთის დესპანობა, ხოლო ხომიაკოვს ლონდონში.

მანეთის კურსი.

მოსკოვის ბჭობამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა უცხოეთზე. მანეთის კურსი ძალზე დაცემულია.

მილიციელების გაფიცვა.

მოსკოვის მილიციელები ეკონომიურ ნიადაგზე გაფიცვას აცხადებენ.

სასურსათო მმართველობის აკლება.

ქ. ნერეხტაში გლეხებმა დაამტვრიეს სასურსათო მმართველობა, რომლის წინააღმდეგაც ბრალდება წამოაყენეს, რომ მმართველობა სანოვაგეს მალავს და ბურჟუებს აძლევსო.

შიმშილობის წინააღმდეგ.

მოსკოვში შიმშილობის საწინააღმდეგოთ დაადგინეს მოსკოვიდან გადაიტანონ ლაზარეთები, სხვა და სხვა კომანდები, და შეამცირონ მონასტრებში ბერების რიცხვი და შეამცირონ აგრეთვე სასწავლებლებიც.

ცარიცინის ანარქისტები.

ცარიცინში ანარქისტები ძლიერ აგიტაციას აწარმოებენ. ესენი ხალხს ეუბნებიან, რომ ცარსკოე სელოში მცველები ყოფილ მეფე ნიკოლოზს სასტიკად აწვალებდენ, მეფეს ღმერთი გამოეცხადა და აღუთქვა ხსნა.

გაუნათლებელ ხალხში აგიტაცია გამოძახილს პოულობს და იძახიან ,,უშველოთ მეფესაო''.

შიმშილი.

ასტრახანში 6 დღის სამყოფი სურსათი აქვთ. ელიან დამშეულთა აჯანყებას.

ყაზანის კატასტროფა.

როგორც გაზეთები იუწყებიან, ყაზანის დიდი ცეცხლი, თურმე განზრახ გაუჩენიათ. გენერალი ლუკნიცკი, რომელიც მქრობელთა რაზმს ეხმარებოდა, მუშებს ცეცხლში გადაუგდიათ. გენერალი დაიღუპა. საქმის ვითარების გამოსარკვევათ სასტიკი გამოძიება სწარმოებს.

შიმშილობა თურქესტანში.

თურქესტანში შიმშილმა რამოდენიმე კაცი იმსხვერპლა, ელიან აჯანყებას.

საზარელი ამბავი.

ტამბოვში მილიციელებმა გლეხებს ორი ტომარი ხორბალი წაართვეს. გლეხები ძალზე გაბრაზდენ. ერთი რკინის გზის ორთქლმავალს წინ დაუდგა და თავი გაასრესვინა, ხოლო სამმა თავი ჩამოიხრჩო.

დაპატიმრება.

პეტრეს ქალაქში დააპატიმრეს წრე, რომელიც ლამობდა მმართველობის შემადგენლობის ამოხოცვას. დაჭერილთა შორის არის გენერალი ბეზობრაზოვი.

შაქრის მონოპოლია.

გამოცხადდა შაქრის მონოპოლია. გირვანქა სამონოპოლიო ნიხრით ეღირება 1 მანეთი.

დრ. მმართველობის წინააღმდეგ.

პეტრეს ქალაქში დიდძალი ხალხის თანდასწრებით მიტინგი გაიმართა. ჰყვიროდენ, ,,ძირს დრ. მმართველობა, ბურჟუაზიასთან სრულ გამარჯვებამდე ბრძოლაო''.

სავალდებულო დადგენილება.

ამ ბოლო დროს ქუთაისში ძლიერ გახშირდა სასროლ იარაღიდან სროლა, რომელიც არღვევს მშვიდობიან ცხოვრებას და შიშს იწვევს, ამის შესახებ მსჯელობა იქონია მუშათა და ჯარის კაცთა საბჭომ და დაადგინა: მოქალაქეთ, ოფიცრებს, სამხედრო მოხელეებს და ჯარის კაცებს დროებით ეკრძალებათ ქალაქში სასროლი იარაღის ტარება.

სასროლ იარაღის სატარებელ ნებართვის გაცემა დროებით შესწყდება. მცხოვრებთა მშვიდობიანობის დაცვისთვის მოუწოდებ ყველას ბეჯითად და მტკიცეთ დაიცვას ეს განკარგულება და დაემორჩილოს წესს.

ქუთაისის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.
ქუთ გუბერნიის კომისარი.
გრიგოლ გიორგაძე.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

შეკითხვა. ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორი გუბერნიის კომისარს ბ-ნ გრ. გიორგაძეს სთხოვს, აცნობოს მას, თუ ქუთაისის გუბერნიის იმ ნაწილებში, სადაც სამხედრო წესებია გამოცხადებული, რა უკანონობა ჩაიდინეს გადაყენებულმა მინისტრებმა და სხვა დიდ თანამდებობის პირებმა (მაგალითად ბეჭვდითი ორგანოების შეზღუდვა და სხვა). ეს ცნობა პროკურორმა უნდა მიაწოდოს პეტროგრადის განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც გადაყენებულ მინისტრების გასასამართლებლათ ცნობებს აგროვებს.

✦ **ავერიანოვის დეპეში.** სრულიად რუსეთის საერობო კავშირის რწმუნებული, ავერიანოვი, ქუთაისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტს აცნობებს, რომ კავკასიის საზღვრებიდან მატყლის გაზიდვა ივნისის 15-დან კერძო პირთ ეკრძალებათ. მატყლი გადადის სრულიად რუსეთის საერობო კავშირის განკარგულებაში. ავერიანოვი სთხოვს ქუთაისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტს, რომ დაეხმაროს საერობო კავშირს მატყლის საქმის მოწესრიგებაში.

✦ **სახელმწ. დაწესებ. მოსამსახურეთა შესახებ.** სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა კავშირის თავმჯდომარის ამხანაგს ბ ნ ფხაკაძეს პეტრესქალაქში კავკასიის საქმეთა კომისარის სენატორ ნაბაკოვისგან მოუვიდა შემდეგი შინაარსის დეპეში. ქუთაისის და სოხუმის ოლქის სახელმწ. დაწესებ. მოსამსახურეების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ყოველგვარი შესაძლო ზომა არის მიღებული.

✦ **კრება.** კვირას აგვისტოს 27-ს რეალურ სასწავლებლის შენობის დარბაზში დანიშნულია ქუთაისის და ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების თათბირი. ეს კრება დანიშნული იყო აგვისტოს 13-ს, მაგრამ არ შესდგა. გასარჩევი კითხვები მეტად სერიოზულ ხასიათის არის და ამიტომ მოსაწვევი ბარათები უკვე დაეგზავნათ ქუთაისის გუბერნიაში და სოხუმის ოლქის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთ. განსახილველია შემდეგი კითხვები: 1) მოსამსახურეთა მატერიალი მდგომარეობის გაუმჯობესება, 2) არის თუ არა აუცილებლათ საჭირო მოსამსახურეთა ინტერესების დასაცავათ გაფიცვის გამოცხადება? 3) კოოპერატიული დუქნის შესახებ, 4) განხილვა და დამტკიცება ქუთაისის გუბერნ. სახელმწ. დაწ. მოსამსახურეთა კავშირის წესდებისა.

✦ **ფურგუნები.** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა სურსათის გადასაზიდ გადმოსაზიდავათ მიიღო რამდენიმე ფურგუნი.

✦ **შაქრის ბარათების შესახებ.** ქალაქის სასურსათო კომიტეტი აცხადებს, რომ შაქრის ბარათის მიღება შეიძლება შემდეგ ადგილებში: **სამთო-უბანი:** რეალურ სასწავლებელში **ცენტრალი-უბანი:** ბალახვანის ქუჩა სარაიონო კომისართან. **წყალ გაღმა უბანი:** ორპირის ქუჩა, კომისარის სამმართველოს გვერდით. **არქიელის მთაზე:** ილია შავგირაძესთან. ამის გარდა წყალ-გაღმა უბნის მცხოვრებთ ბარათების მიღება შეუძლიათ პეტრე-პავლეს ეკლესიაზე.

✦ **,,ბულკების'' და ,,ბუბლიკები''-ს საცხობი.** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა გადასწყვიტა საკუთარ თაოსნობით მოაწყოს ბუბლიკების და ბულკების საცხობი, სადაც გამოაცხობენ იაფ-ფასიან კარგ ღირსების ბუბლიკებს და ბულკებს.

✦ **აბრამოვიჩის ლექცია.** ხუთშაბათს, აგვისტოს 24-ს საღამოს 8 საათზე ელექტრო-თეატრ ,,რადიუმის'' დარბაზში შვეიცარიის უნივერსიტეტის დოცენტი მ. ე. აბრამოვიჩი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: ,,ეროვნული კითხვა დამფუძნებელ კრებაზე''. ლექციის შემდეგ გაიმართება კამათი. დაწვრილებით პროგრამებში.

✦ **მიტკლის ჩამორთმევა.** ქალაქის სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. ალ. რომ. ჯაფარიძემ და წევრმა ბ. ლაზ. ხმალაძემ ერთ ვაჭარს სახლის ზედა ჰერზე უპოვეს 27 თოფი მიტკალი და რეკვიზიციის წესით ჩამოართვეს. აგრეთვე ამავე დღეს აღმოაჩინეს კაი ძალი გადამალული საფეხსაცმელე ტყავი ,,შევრო''.

✦ **ახალი საყასბოები.** ქალაქის სასურსათო კომიტეტი ხსნის სხვადასხვა უბანში საკუთარ საყასბოებს, რომელიც სუფთად იქნება მოწყობილი და შიგ არსებულ ნიხრზე გაიყიდება პირველ ხარისხის ხორცი.

✦ **შეშის გატანის აკრძალვა,** 160 საევაკუაციო პუნქტის უფროსი, ვალილევი, ქუთაისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტს ატყობინებს, რომ არსენ კვაჭაძეს აეკრძალოს შეშის გაზიდვა.

✦ **კიდევ ტყავის დაჭერა.** გუშინ ფოსტაში დაიჭირეს 6 ფუთი ფეხსაცმელის ტყავი.

— **104 სისხლის სამართლის დანაშაული.** ქუთაისის სატუსაღო ციხეში 104 სისხლის სამართლის დანაშაული ტუსაღი იმყოფება.

✦ **შეცდომის გასწორება** ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნუმერში Ar-ის წერილში: „სამწუხარო მეტოქეობა“ შემდეგი კორექტურული შეცდომებია: მე-2 სტრიქონში ზევიდან სწერია: უმთავრესად ხმოსნები,-უნდა იყოს: უმთავრესად მგოსნები. მე-17 სტრიქონში ზევიდან სწერია: გაყიდვა,-უნდა იყოს: გადაყვა.

✦ **გვთხოვენ გამოვაცხადოთ.** რომ ანდრო სიხარულიძემ 20 დღის წინად ქ. ქუთაისის სადგურზე დაჰკარგა კომისარისაგან მიღებული პიროვნების მოწმობა და პორტმანი, რომელშიდაც 50 მანეთი ფული იყო. სიხარულიძე მნახველს სთხოვს ფული თვითონ დაიტოვოს, ბილეთი კი მოიტანოს გაზეთ ,,ჩვენი ქვეყნის'' რედაქციაში.

✦ **დაჭრა.** ახალგაზდა მოცეკვავე მომღერალმა სტუდ. ვ. ნანეიშვილმა ცეკვის დროს უეცრათ რევოლვერით ფეხი დაიჭრა.

✦ **გაქურდვა.** აგვისტოს 22 წყალ გაღმა გაქურდეს სონა ჩარკვიანის ბინა.

✦ **ემიგრანტები და სამხედრო ბეგარა.** სამინისტრო იტყობინება: ის პირნი, რომელნიც უცხოეთის ემიგრანტობიდან ბრუნდებიან, ვალდებული არიან სამხედრო უფროსთან გამოცხადდენ, თუ კი მათ სამხედრო ბეგარა ეხებათ.

თბილისი

— **თბილისის პოლიტეხნიკუმი** რამდენიმე დაწესებულების შენობებში იქნება მოთავსებული პირველ ხანებში. მაგალითად, გადაწყვეტილია, პოლიტეხნიკუმს დაეთმოს რამდენიმე ოთახი არტისტულ საზოგადოებაში, „კრუჟოკის“ საზამთრო შენობაში, რეალურ სასწავლებელში სამასწავლებლო ინსტიტუტში და სხ,

— **დაბრუნდნენ თბილისში** პოლიტიკურ პარტიების დაწესებულების წარმომადგენელნი, რომელნიც მოსკოვის თათბირს დაესწრნენ. აგრეთვე დაბრუნდა ამიერ კავკასიის მევენახეთა და მეღვინეთა საბჭოს თავმჯდომარე ვას. რცხილაძე, რომელიც გაგზავნილი იყო მოსკოვში მთელ რუსეთის მევენახეთა და მეღვინეთა კრებაზე დასასწრებლად.

— **ამიერ კავკასიის ტეხნიკურ ძალთა კავშირი.** თანახმად ტეხნიკთა ჯგუფის სურვილის განცხადებისა ჰიდრო-ტეხნიკთა მოსამზადებელ კურსების გახსნაზე, გარემხრის კავშირის რჩევამ დაადგინა: ინჟენერ-სპეციალისტთა და ტეხნიკთა ჯგუფთან შეთანხმებით შეიმუშაოს პროგრამა განზრახულის კურსებისა და პროგრამის შედგენისათანავე დაუყოვნებლივ გახსნას კურსები. ამისდა მიხედვით საქმე სამოსწავლო სექციისა იწყებს განფართოვებას. ხელმძღვანელობა სექციის საქმეებისა, ცნობების მიცემისა და ჩაწერა მსურველთა კურსებზე შემსვლელთა მინდობილი აქვს გარემხრის კავშირის რჩევის წევრს, კახეთის რკინის გზის სამმართველოში მსახურს ხარიტონოვს.

— **გ. ჟურული,** თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი, არჩეულ იქმნა საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ. ჟურულის ამხანაგად არჩეულია ხმ. ბროდსკი.

— **შუამდგომლობა.** ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების მთავარმა გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის წინაშე, რომ მისცეს საზოგადოებას 13.500 მანეთი სკოლებთან არსებულ თავშესაფარების შესანახად ბაქოსა და სოხუმში.

— **ტყვეების მოვლა.** ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა განმარტა, რომ მზრუნველობა ტყვეებზე, რათა არავინ გასჩხოს და დაიუფლოს ისინი, სატყეო კომისიების მოვალეობას შეადგენს.

პროვინცია.

დ. ხარაგაული. კვირას აგვისტოს 27-ს საქართ. სოც. ფედერ. სარევოლუციო პარტიის სასარგებლოთ გაიმართება დიდი ეროვნული საღამო—სეირნობა. საღამოზე მოწვეული არიან აკაკი ფაღავა, სიკო ფაშალიშვილი და სხვანი.

— საღამოს შემოსავლის 10 პროცენტი გადაიდება სახალხო სახლის ფონდისთვის.

— **რიონის სადგური.** ვინმე მეძმარიაშვილის ქალი სხვადასხვა ორგანიზაციების სახელით თითქოს საქველმოქმედო მიზნით ბილეთებს ყიდდა. აგვისტოს 20 ს მეძმარიაშვილის ქალი დააკავეს და პასუხის გებაში მისცეს.

ხალხის შიში.

უნებურ ელვა-ჭექას ყოველთვის ცუდი ამინდი მოყვება ხოლმე. ეს ხალხს უკვე შემჩნეული აქვს. დიდებული რევოლუციის შესახებაც ასეთი ნიშნები მოსჩანს, რუსეთის ცა ძალზე მოღრუბლულია; ქარიშხალს და ჭექა-ქუხილს გარედან გერმანია უწყობს ხელს და შიგნივ ბნელი ძალები. რუსეთის რეაქციონერები ცენტრალური სახელმწიფოების მახვილის გამარჯვებით ისე არასოდეს არ ყოფილან დაინტერესებული, როგორც ნიკოლოზ რომანოვის ტახტიდან გადმოგდების შემდეგ არიან. ერთად ერთ ხსნას ძველი წყობილების აღდგენისათვის ისინი გერმანიის და მისი მოკავშირეების გამარჯვებაში ხედავენ. რამდენათ ფრონტეზე საქმე რთულდება, იმდენათ დროებითი მთავრობაც მარჯვნივ იხრება, რუსის ხალხიც ამას აშკარად ატყობს და სასოწარკვეთილებას ეძლევა. ძველი წესწყობილების აღდგენაში ეს ხალხი თავის დაღუპვას ხედავს. განსაკუთრებით ამ შიშს რუსეთის „ინოროდცები“ ჰყავს შეპყრობილი. სხვადასხვა „ინოროდცებს“ რომ თავი დავანებოთ რეაქციის გამარჯვება არც ქართველ ხალხის მისწრაფებას უქადის სიკეთეს.

რუსეთის ბნელმა ძალებმა ძლიერ კარგად იციან, თუ რაზომ დიდი მონაწილეობა მიიღო ქართველმა დემოკრატიამ დახავსებულ თვით მპყრობელობის აღმოფხვრაში. მაშასადამე ხალხის შიშს საფუძველი აქვს, რა გვმართებს ამ მდგომარეობაში მყოფს ქართველ ხალხს და მთლად რუსეთის დემოკრატიას. სრული კავშირი და ძმობა-ერთობა, აი ჩვენი პასუხი. დემოკრატიის შეერთებული ძალა დიდი საფრთხეა რუსეთის ბნელი ძალებისათვის. ვიმეორებ ამ შეერთებაში უნდა ეძიოს ყოველმა დაჩაგრულმა ერმა თვისი ნუგეში და ხსნა.

ა. ქუთათელი.

წაიკითხეთ და გაიკითხეთ.

ოჯახის მრჩენელი ვაჟკაცი ომის დაწყებისთანავე ბრძოლის ველზე გაიწვიეს.

მას შინ დარჩა მოხუცებული დედა, ცოლი და სამი მცირე წლოვანი ბავში (უფროსი 7 წლისაა).

დასავლეთის ფრონტზე თხრილებში დგომის დროს სიცივისაგან დაზრული მამა მოსკოვის ერთ-ერთ ლაზარეთში გარდაიცვალა.

უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი მისი ცოლი, რომელიც მთელი ოჯახი კისრათ აწვა, ამ ჟამათ მძიმე ავამტყოფია; მოხუცებულმა მამამ ორჯერ-სამჯერ ურმით ჩამოიყვანა ქუთაისს ექიმებთან. ახლანდელი სიძვირის გამო ავათმყოფს კვირაში 15 მანეთამდე წამალი სჭირდება. მოხუცებული მამა პატრონობს ჯერჯერობით ავათმყოფ ქალიშვილს და პაწია შვილიშვილებს.

გაჭირვება დიდია.

P. S. გუშინ რომ ეს წერილი რედაქციაში შევიტანე დასაბეჭდათ, პატივცემ. ამხან. რ. ჯაფარიძემ ხსენებული ოჯახის სასარგებლოთ 3 მანეთი გადმომცა.

თუ ვინმე კეთილინებებს, შემოწირულება „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში მიიღება.

ღია წერილი

მოქალაქე მიხეილ ესაკიას.

15 აგვისტოს, დილის მატარებლით თქვენ მობრძანდებოდით ქ. ფოთიდან. ვაგონის კუპეში ჩამოვარდა ჩვეულებრივი საუბარი დღევანდელ მომენტზე და უმთავრესად პარტიულ საკითხებზე. სადგურ აბაშას რომ მოუახლოვედით, თქვენ ჩამოაგდეთ ლაპარაკი ქ. ფოთის არჩევნებზე და მეტად უდიერათ მოიხსენიეთ ჩვენი მოღვაწე ნ. ნიკოლაძე და პირადათ მეც. მე თქვენ გთხოვეთ არ გელაპარაკათ იმ კილოთი ნ. ნიკოლაძეზე, რადგან თქვენ პირადათ ვერა ხართ კარგ განწყობილებაში მასთან. თქვენ ამის შემდეგ იმის მაგიერ, რომ შეგეწყვიტათ ლაპარაკი ამ თემაზე, აიმაღლეთ ხმა და ყოვლად მიუტევებელი უშვერი სიტყვებით მოსდექით ნ. ნიკოლაძის პიროვნებას და ყოველივე არა საკადრისი სახელით მოიხსენიეთ ის. მე კი და ყველა იმათ, ვინც იცავდა ქ. ფოთში მის კანდიდატურას მოსყიდულები გვიწოდეთ. აქ გაზეთის ფურცლებზე შეუძლებელია იმ სიტყვების მოხსენიება, რომლითაც მონათლეთ თქვენ ნ. ნიკოლაძე. თქვენმა სიტყვებმა აღშფოთება გამოიწვიეს არამც თუ ნ. ნიკოლაძის მომხრეებში, არამედ თვით მის მოწინააღმდეგეებში. თქვენ თქვენი ასეთი საქციელით გვამყოფინეთ არა კუპეში, არამედ ვაგონის დერეფანში და სადგურ აბაშის პლატფორმაზეც. მე თქვენ გითხარით, რომ ამის პასუხს მოგთხოვენ მეთქი, თქვენა სთქვით: ამ ჩემს სიტყვებს ყოველგან გავიმეორებო. ამ ნაირად ყვირილით და ნ. ნიკოლაძის სალანძღავი სიტყვებით თქვენ დასტოვეთ ვაგონი. ყველა ამის მოწამენი არიან ვ. თებზაია, მ. გვიჩია და ყველა ის, ვინც იქ იყო ამ დროს. მე, როგორც იმ წრის ერთი წევრთაგანი, რომელიც იცავდა ქ. ფოთში ნ. ნიკოლაძის კანდიდატურას, შეურაცხყოფილად ვცნობ ჩემს პიროვნებას თქვენგან, გიწვევთ სამედიატორო სასამართლოში და მოვითხოვთ დაგვიმტკიცოთ, რომ ჩვენ მოსყიდულები ვიყავით ნ. ნიკოლაძისაგან. პასუხისათვის გაძლევთ სამი დღის ვადას დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა და გთხოვთ დაასახელოთ მედიატორები თქვენის მხრით.

ილარიონ ყლენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკელია.

რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის —	7 ს. 47 წ.
„	— სალამ. —	8 ს. 49 „
ბათომიდან	— დღისით —	12 ს. 55 „
„	— ღამის —	11 ს. 42 „
„	— დილის —	10 ს. 20 „
ფოთიდან	— დილის —	8 ს. 17 „
ტყიბულიდან	— საღამოს —	6 ს. „
	დილის —	9 ს. 10 „
ხაშურიდან	— დილის —	9 ს. 24 „

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისკენ	— დილის	8 ს. 25 „
„	ღამის —	10 ს. 20 „
ბათომისაკენ	— საღამოს	7 ს. 1 „
„	— დღით —	1 ს. 40 „
„	— დილის —	6 ს. 20 „
ფოთისაკენ	— დღისით —	3 ს. 18 წ.
ტყიბულისაკენ	— დილის —	7 ს. 57 „
	— დღით —	2 ს. 37 „
ხაშურისაკენ	— დღით —	4 ს. 40 „

ექიმები

ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში მესხმს „606“ და „914“) დღით $12^{1}/_{2}$ 2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ.
ტელეფონი № 135.

გ. ი. გოქიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

ა. მ. ასათიანი ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3
ტელეფონი № 101.

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე.
მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში